საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/99 " 13 " ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ჩანტლაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 5 აგვისტოს №1/77 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 37 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 30 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 მოსამართლის, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, მადი ჩანტლაძის განაცხადი.

მადი ჩანტლაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება. იგი მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში და 6 წლის განმავლობაში უფლებამოსილებას ახორციელებდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. მ. ჩანტლაძე 2015 წლიდან მუშაობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. მ. ჩანტლაძის მრავალწლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება ქმნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განაგრძოს დაკისრებული უფლებამოსილებების შესრულება თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, მადი ჩანტლაძე გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე